PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ” ვებტექნოლოგიები“
პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა ხითარიშვილი

წევრები:

გიორგი ნაჭყეპია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ინტერბიზნესის აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 9 21 0001268095 ბრძანების (25.11.2021) საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა ხითარიშვილი-თავმჯდომარე;
2. გიორგი ნაჭყეპია-წევრი;

ჯგუფს დაევალა „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის-პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფს ასევე დაევალა განახორციელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ბ.ბ) კომპონენტის შემოწმება.

ჯგუფმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ (შემდგომში დაწესებულების) მიერ წარმოდგენილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვებტექნოლოგიები“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ, განისაზღვრა ვიზიტისას დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დღის წესრიგი. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიების“ ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები, გაესაუბრნენ პროფესიული საგანამანათლებლო მოდულის განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს, შეამოწმეს მათი პირადი საქმეები. შემოწმდა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკაში არსებული, პროგრამით გათვალისწინებული, წიგნადი ფონდი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული წარმოდგენილ დასკვნაში. შემოწმებული დოკუმენტაციის და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ავტორიზაციის დებულების მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტების მიერ შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის არა 24 ადგილით , არამედ 12-ით გაზრდის შემთხვევში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა
VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში/ Secondary Vocational Qualification in Web Technology
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	კოდი 0612
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ დირექტორის 2018 წლის 3 აგვისტოს ბრძანება N 01-35 შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ დირექტორის 2018 წლის 15 აგვისტოს ბრძანება N 01-36 შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ დირექტორის 2019 წლის 8 თებერვლის ბრძანება N 01-04 შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ დირექტორის 2020 წლის 24 ივნისის ბრძანება N 01-21 შპს „ინტერბიზნესის აკადემიის „ დირექტორის 2021 წლის 15 ოქტომბრის ბრძანება N 01-32 შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ დირექტორის 2021 წლის 26 ოქტომბრის ბრძანება N 01-35

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი შ. ჯაფარიძის ქ. N 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	ადგილების რაოდენობა -12; პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა-24 ჯამში -36
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	64
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

შენიშვნა: ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში დამატებით მოთხოვნილ 24 ადგილს და მათი შეფასებით ზღვრული რაოდენობა შესაძლებელია გაიზარდოს მაქსიმუმ 12 ადგილით.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით შპს ინტერბიზნესის აკადემიის მიერ ქ. თბილისში მის. შ. ჯაფარიძის 8 ვებტექნოლოგიების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაზრდა შესაძლებელია მაქსიმუმ 12 ადგილით.**
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრულად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

შპს ინტერბიზნესის აკადემიას, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება N 103 -ით მიეცა უფლება განახორციელოს ვებტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამა და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 12 ადგილით. დაწესებულებამ დამატებით მოითხოვა აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების გაზრდა -24-ით და ჯამში მოთხოვნილი ადგილების რაოდენობამ შეადგინა- 36. კვოტის გაზრდისას დაწესებულება დაეყრდნო იმ გარემობას, რომ ვებტექნოლოგიების პროგრამის დასრულების შემდეგ პირი შეიძლება დასაქმდეს როგორც სხვადსხვა ორგანიზაციაში, ასევე თვითდასაქმების ფორმით. აღნიშნული პროგრამა არის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროგრამა შრომის ბაზარზე, რასაც ადასტურებს, როგორც დასაქმების ვებ გვერდებზე, ასევე დაწესებულებაში აპლიკანტთა ყოველწლიურად მზარდი რაოდენობა. მხოლოდ 2021 წლის მიღებაზე დაწესებულებას მოუწია 92 რეგისტრირებული აპლიკანტიდან 12-ის შერჩევა. ასევე 2020 წელს დაწესებულებამ დაასრულა პრაქტიკოსი ექთნის საგნობრივი პროგრამის განხორციელება და გააუქმა „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა (ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ), რითიც ჯამში დაწესებულებას გამოუნთავისუფლდა 73 ადგილი. დაწესებულებას აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც აქვს განსაზღვრული ვებტექნოლოგიების საგანამანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. დაწესებულებას ამ ეტაპზე გააჩნია ექვსი A და სამი B გარემო. ვებტექნოლოგიების მოდულური პროგრამა არის 64 კრედიტიანი, 18 კრედიტი ანუ 29% ისწავლება A გარემოში, ხოლო 46 კრედიტი ანუ 71 % -B გარემოში. დაწესებულებას საგანამანთლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიების“ განსახორციელებლად მისამართზე -თბილისი შ. ჯაფარიძის ქ N 8 გამოყოფილი აქვს ორი აუდიტორია A (401) და B (404) გარემო. A გარემოში არის 20 ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის, განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო მაგიდა, სკამი, ლეპტოპი, ეკრანი და დაფა. B გარემო აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის 12 კომპიუტერით (1 პროფესიულ სტუდენტზე ერთი კომპიუტერი), მასწავლებლის მაგიდითა და ლეპტოპით, პროექტორით, პრინტერით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში ცალ-ცალკეა დათვლილი საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათები. პროგრამის მიხედვით მხოლოდ საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა შეადგენს 12-40 საათს. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სწავლება განხორციელდება შეჭრილი გრაფიკით, ასევე შესაძლებელია განხორციელდეს ჰიბრიდული სწავლება, რადგანაც პროგრამით გათვალსიწინებული სწავლის შედგების მიღწევა სრულადაა შესაძლებელი ჰიბრიდული სწავლების მეთოდით. თუმცა ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების) შესაძლებლობები მათი მხრიდან დისტანციური სწავლების ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. რადგანაც ვებტექნოლოგიების პროგრამისთვის გამოყოფილი B გარემო არის გათვლილი 12 პროფესიულ სტუდენტზე, კვოტის გაზრდის შემთხვევაში (36 პროფესიული სტუდენტი) დაწესებულებას მოუწევს B გარემოს სამ ცვლაში გამოყენება.

წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით მე-19 დან 26 სასწავლო კვირის ჩათვლით B გარემოს საკონტაქტო საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე არის 28 საათი (გრაფიკული გამოსახულების შექმნა-დამუშავება 12 სთ და ვებ გვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემუშავება JAVASCRIPT 16 სთ) სამი ცვლის შემთხვევაში B გარემოს კვირეული საათობრივი დატვირთვა შეადგენს 84 საათს, ასევე 28-32 სასწავლო კვირას B გარემოს საკონტაქტო საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე შეადგენს 28 საკონტაქტო საათს (ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით 8 სთ, ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) 12 სთ, ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator) 8 სთ) სამ ცვლაში გამოდის 84 საათი კვირეული დატვირთვა, 33-ე და 34-ე სასწავლო კვირას B გარემოს საკონტაქტო საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე შეადგენს 36 საკონტაქტო საათს (ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით 8 სთ, ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) 12 სთ, ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator) 8 სთ) ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით 8 სთ) რაც სამ ცვლაში შეადგენს 108 სთ, ასევე 35-36 სასწავლო კვირაში B გარემოს საკონტაქტო საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე შეადგენს 36 საკონტაქტო საათს (ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) 12 სთ, ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator) 12 სთ) ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით 12 სთ) რაც სამ ცვლაში შეადგენს 108 საათს. **დაწესებულებას მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით აღნიშნულ სასწავლო კვირეებში B გარემო უზრუნველყოფს მაქსიმუმ პროფესიულ სტუდენტთა 2 ჯგუფის გამტარიანობას დღეში (ექვს დღიანი სასწავლო კვირის შემთხვევაში) რაც ჯამში შეადგენს 24 პროფესიულ სტუდენტს.**

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების და სასწავლო გეგმის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობაა-20 პროფესიული მასწავლებელი (მათ შორის ზოგადი მოდულები-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

13 პროფესიული მასწავლებელი და 9 პროფესიულ მოდულზე 6 პროფესიული მასწავლებელი) . დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს ერთ პირთან სტაჟირების ხელშეკრულება, რომელმაც მომსახურება უნდა გაუწიოს დაწესებულებას ვებტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის მოდულში: ვებგვერდის მართვის სისტემის გამოყენება (GMS). სტაჟირება, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გულისხმობს სტაჟიორის მოქმედ მასწავლებელთან ერთად ლექციაზე შესვლას და პროფესიულ განვითარებას. აღნიშნული სტაჟიორი არის მეოთხე კურსის სტუდენტი ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე საბაკალავარო საგანამანათლებლო პროგრამაზე „ინფორმატიკა“. დაწესებულება გეგმავს აღნიშნული სტაჟიორის პროფესიული განათლების მასწავლებლად აყვანას 2022 წლის მიღებისთვის.

ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მოიცავს მოდულის ადაპტირებას, შეფასების ინსტრუმენტის შექმნას, ვერიფიკაციაში მონაწილეობას, სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას, შეფასების პროცესს, პროფესიულ განვითარებას, მონაწილეობას სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში, შიდა მონიტორინგის ჯგუფში მუშაობას, კონფერენციებში მონაწილოებას, პროფესიულ სტუდენტთა ხელმძღვანელობას.

ამრიგად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამის განმახორციელებლი პირების პირადი საქმეებისა და მათთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის განმახორციელებლ მასწავლებლებს აქვთ მოდულების წარმართვის, ვალიდური და სანდო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შეფასების ინსტრუმენტების შექმნის და პროფესიული სტუდენტების შეფასების გამოცდილება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით საჭიროებისამებრ დაწესებულება ახორციელებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით.

ამრიგად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულებას დებულებათა კრებულში გაწერილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობას ღებულობს პროგრამის შემუშავებაში, სასწავლო გეგმების შემუშავება-ადაპტირებაში, განმახორციელებელი პერსონალის შერჩევაში, საგანამანათლებლო რესურსის განსაზღვრაში, მათ შორის სსსმ პირებისთვის ადაპტირებაში, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის და განმავითარებელი საქმიანობის დაგეგმვა-განხორციელებაში, დარგში სიახლეების გაცნობა-დანერგვაში, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციაში.

ვებტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრმას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ორი ხელმძღვანელი, რომლებიც დანიშნული არიან დირექტორის ბრძანებით და მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ვიზიტის ფარგლებში შედგა გასაუბრება პროგრამის ერთ ხელმძღვანელთან. გასაუბრებით დადასტურდა მისი პროფესიონალიზმი, პრაქტიკული გამოცდილება, მზაობა პროგრამის მაღალი ხარისხით განხორციელება/ განვითარებისთვის.

ამრიგად,ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეულ პირს გააჩნია დარგის შესაბამისი კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა და ვებტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა. დადგინდა, რომ ისინი ინახება დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და ასევე ელექტრონული სახით თავისუფალი წვდომის რეჟიმში განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. ბიბლიოთეკაში განთავსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკა განთავსებულია ნათელ ფართში, ცალკეა გამოყოფილია სამკითხველო დარბაზი და ცალკეა წიგნების საცავი. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საკანონმდებლო აქტების კონსოლოდირებული ვერსიების წვდომის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო მაცნესთან. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. **ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა განსაზღვრული აქვს დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 9 ნოემბრის ბრძანება N01-44 ით დამტკიცებულ დებულებათა კრებულში. (მუხლი 51 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა). ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ყველა საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრას და მისი დაკმაყოფილების გზებს, პროფესიული სტუდენტის ინტერესებს და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. სსსმ პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
გეგმის შედგენა ნიშნავს მძიმე და/ან ძალიან მძიმე ინტელექტუალური დარღვევის ან მრავლობითი დარღვევის მქონე სტუდენტისათვის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო მიზნებისა და შედეგების ცვლილებას, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ფოკუსირებულია შედეგზე. ყოველი სსსმ პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად განისაზღვრება: სწავლის შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები. დრო, რომელსაც პროფესიული მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა (სახელმძღვანელოები და სტუდენტისათვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მასალა, სასწავლო რესურსის ადაპტირება განხორციელდება საჭიროების შესაბამისად). დაწესებულების რეგულაციების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით თითოეული სსსმ პირისათვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებასა და მოთხოვნილებების შესაბამისად, აქვს სსსმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო და სველი წერტილები.

ამრიგად, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვებტექნოლოგიების საგანამანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი. ბიუჯეტი შემუშავებულია როგორც საბიუჯეტო, ასევე არსაბიუჯეტო მიღებისთვის, განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი ორივე შემთხვევაში. არასაბიუჯეტოს შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
11 პროფესიული სტუდენტი, ხოლო საბიუჯეტოს შემთხვევაში 9 პროფესიული სტუდენტი. შემოსავლის სახეობაში არა საბიუჯეტოს შემთხვევაში მითითებულია სწავლის საფასური და დიპლომის საფასური, ხოლო საბიუჯეტოს შემთხვევაში მითითებულია ვაუჩერული დაფინასნება. ხარჯვით ნაწილში გაწერილია ისეთი ხარჯი როგორიცაა: მასწავლებლის ხელფასი, ადმინისტრაციული ხელფასი და ერთჯერადი კონტრაქტები კომუნიკაციაზე, კომუნიკაციის ხარჯი (ელექტროენერგიის, დასუფთავების, სატელეფონო, ინტერნეტი, გაზი, წყალმომარაგება), რეკლამის ხარჯი, სამეურნეო ხარჯი (კომპიუტერის ხარჯი, კარტრიჯების დამუხტვა-აღდგენის ხარჯი, საკანცელარიო საქონლის ხარჯი, რემონტის ხარჯი, სამეურნეო ხარჯი, (სანიტარულ-ჰიგიენური ხარჯი) საკონსულტაციო, არასამეწარმეო, ავტომანქანის ექსპლუატაციის ხარჯი, ბანკის მომსახურების ხარჯი და სხვა) , სტუდენტური სერვისები (კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები, სტუდენტური კონფერენციები, სტუდენტური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები და სხვა) განვითარების ხარჯი (მაგ, ტექნიკური ბაზის განვითარება, პერსონალის (ადმინისტრაცია, მასწავლებელი კვალიფიკაციის ამაღლება), სხვა ხარჯი,

საბიბლიოთეკო ფონდი (წიგნები და ელექტროული ბაზები პროგრამების მიხედვით), წარმომადგენლობითი ხარჯი, აუდიტორული მომსახურება, სგადასახადო ხარჯი (ქონების და მიწის გადასახადი, ავტორიზაციის ხარჯი, გაუთვალიწინებელი ხარჯი, დიპლომის ხარჯი).

ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამის ვებტექნოლოგიების ბიუჯეტით გაწერილი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ვებტექნოლოგიები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის 2017 წლის 14 ნოემბრის ბრძანება N 01-46 შპს ინტერბიზნესის აკადემიის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუქცია
  (ცვლილება შესულია შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის 2018 წლის 2 აგვისტოს ბრძანება N 01-34; ცვლილება შესულია შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის 2019 წლის 20 მაისის ბრძანება N 01-14; ცვლილება შესულია შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის 2021 წლის 30 სექტემბრის ბრძანება N 01-27)
- პსდ -ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- კოლეჯის მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შპს ინტერბიზნესის აკადემიის დებულებათა კრებული;
- შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის ბრძანება საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ;
- შპს ინტერბიზნესის აკადემიის ბიბლიოთეკის ფონდი;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი (არსებობის შემთხვევაში);

11.01.2022 წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: